For successful breeding work aimed at developing different forms, new promising initial materials are widely used in plant hybridization. In order to implement the hybridization method in the process of distant hybridization, the following were used as research objects: mandarin selection forms derived from Kovano-Vase plants and the varieties Fortune Washington Navel, Early Maturing Trifoliata, and Citrus Ichangensis. The experimental plants were located on the collection plots of the Agricultural Research Center of Akaki Tsereteli State University.

As is known, mandarins are characterized by variability of the fruit, which results in the formation of forms with features different from those of the parent plant. These acquired traits are hereditary, as they are passed down from generation to generation. Among the mandarin varieties obtained as a result of such variability, the Vase species are of interest—they differ from ordinary Unshiu by having a smaller growth habit.

As for Fortune Washington Navel, it is characterized by high-quality fruit, but its commercial spread is limited due to its low frost resistance. Therefore, one of the main problems in breeding this variety is to increase its frost resistance and develop early-maturing forms.

In the hybridization combinations, the male parent plants used as frost-resistant components were Early Maturing Trifoliata and Citrus Ichangensis.

To carry out the experiment, we performed hybridization among the above-mentioned components. In the combinations involving the male and female parent plants (Early Maturing Trifoliata and Citrus Ichangensis), buds were collected 2 days before blooming during sunny and warm weather. Bud collection began 12 hours before flowering and was carried out in a bright room under 20–22°C temperature conditions.

After the flowers opened, the anthers were removed from the stamens with tweezers and placed on microscope slides or parchment paper. The anthers were dried in diffused sunlight. Once dry, the anthers released numerous yellow pollen grains. The pollen was transferred from the slides to clean parchment paper, labeled with the name of the pollen donor plant and the date of pollen preparation.

The pollen prepared in this way was ready for use, but since citrus pollen donors flower earlier than the female parent plants (in our case, mandarin forms and Washington Navel orange), the pollen was stored in a desiccator, where it was protected from moisture. Under these conditions, the pollen retained its viability and fertilizing capacity for a sufficiently long time.

Before performing artificial pollination, the viability of pollen grains from the male parent plants was determined. Pollen viability was studied according to the Trankovsky method (Pausheva, 1980). During hybridization, determining the viability of pollen grains of the research objects is of great importance for preliminary assessment of their quality.

To determine the percentage of pollen germination from the male parent plants, mature pollen grains were germinated in an artificial nutrient medium (10%, 20%, and 30% sucrose solution + 0.5% agar) for 6, 12, and 24-hour exposures. The results of the study are presented in Table 1.

Table #1. Viability of pollen grains of Early Maturing Trifoliata and Citrus Ichangensis on sucrose nutrient medium.

Table 2.

Forms	Exposition								
	6 hrs			12 hrs			24 hrs		
	Concentration			Concentration			Concentration		
	10%	20%	30%	10%	20%	30 %	10%	20%	30 %
	Pollen germination (%)			Pollen germination (%)			Pollen germination (%)		
Early Maturing Trifoliata	1,2	1,8	3,4	12,2	37,7	18,5	6,1	15,7	0,2
Citrus Ichangensis	2,1	2,4	4,4	22,1	47,8	23,4	8,2	20,7	1,2

shows that for both Early Maturing Trifoliata and Citrus ichangensis, the most favorable and optimal variant for pollen germination was found to be a 20% sucrose solution with a 12-hour exposure. Under these conditions, Citrus ichangensis pollen grains demonstrated a higher germination ability of 47.8%, compared to the relatively lower 37.7% observed in Early Maturing Trifoliata.

In our opinion, the higher viability of Citrus ichangensis pollen grains compared to Early Maturing Trifoliata is likely due to its specific biological characteristics. This conclusion is supported by the data in the same table, which clearly show that for almost all exposure times at different sucrose concentrations, the viability of Early Maturing Trifoliata pollen grains was comparatively lower than that of Citrus ichangensis. Therefore, the pollen of these forms, characterized by high germination viability, can be effectively used as male components in distant hybridization.

Subsequently, we carried out artificial pollination. Specifically, we prepared the selected female plants for crossing. Preparation of the initial parent components began when most of the flower buds on the plant had not yet opened but were ready to bloom. At this stage, we reduced the number of flowers—this process is known as flower normalization—because it is known that a plant forms more flowers than the number of fruits that will actually develop and mature. In citrus, on average, only 10–12% of the total number of flowers remain on the plant and produce fruit; the rest fall off.

Based on this principle, we removed a certain portion of the flowers from the female plants to ensure better development of the remaining buds. First, all flowers that had already opened were removed, as they might have been pollinated by undesirable or foreign pollen. Then, we also removed underdeveloped buds, leaving only those expected to bloom in the next few days. Ultimately, we left 3–5 normally developed flowers per plant.

To prevent pollination by unwanted pollen, the flowers were isolated using prepared paper bags, or isolators. The flowers of the mandarin group (Vase varieties) and Washington Navel orange are functionally sterile in terms of male organs, and therefore, during crossing, their castration (removal of stamens or anthers) was not required. Pollination was performed when the stigma began secreting a white, sticky liquid, indicating readiness for fertilization. At this stage, the pollen grains adhered easily to the stigma. Immediately before pollination, the isolator was removed, and pollen was applied to the stigma using a small brush or a piece of rubber fixed to a wooden stick. Afterward, the flowers were re-covered with the isolator and labeled.

One month after pollination, we conducted the first examination to check for fruit set and removed the isolators. Another inspection and record were made one month after the first.

Thus, the hybridization methodology in citrus breeding includes the following stages*:*

- Preparation of initial female parent components for crossing
- Preparation of male pollen donors
- Determination of pollen viability
- Normalization and castration of flowers, isolation, pollination, and examination of fruit set.

References

1. Roland Kopaliani, Nino Kipiani, Julieta Sanikidze, Giorgi Getsadze, Aleksandre Mikeladze. “Use of Bio-Ecological Methods in Citrus Hybrid Plantations and Selection of Promising Forms.” Teaching manual, electronic version, pp. 1–185, 2021.

2. Nino Kipiani. “Results of Crossing Mandarin Selection Forms with Early-Maturing Trifoliata and Citrus Ichangensis.” International peer-reviewed and refereed journal “Science and Life,” Tbilisi, No. 2 (16), 2017, pp. 117–120.

3. N. Kipiani. “Selection of Mandarin Forms According to Growth and Development Characteristics.” Bulletin of Akaki Tsereteli State University, Kutaisi, 2015, pp. 18–25. [http://doc.atsu.edu.ge/library/books/moambe-%2015(5),%202015.pdf](http://doc.atsu.edu.ge/library/books/moambe-%2015%285%29,%202015.pdf)

4. G. Getsadze, J. Sanikidze, R. Kopaliani, T. Jobava, V. Kobakhidze, N. Kipiani. “Methodology for Increasing Frost Resistance of Citrus by Distant Hybridization.” Teaching manual, 2013. pp. 1–14.

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრონEWS. ISSN 2346-8467
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL AGRONEWS. №12. 2025
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ АГРОNEWS. Roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

ბადრიჯნის მოყვანა ვედროში

DOI: https://doi.org/10.52340/agronews.2025.12.06

მაკა ყუბანეიშვილი
სმმკ, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
ნატალია სანთელაძე
აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

სტატიაში განხილულია ბადრიჯნის კულტურის მოყვანა ვედროებში, რაც საშუალებას იძლევა მცირე ნაკვეთი ან აივანიც კი ნაყოფიერ ოაზისად ვაქციოთ. აღებული იყო 2 ჯიში: ჯიში „ვიოლეტ ლუნგა“და „ვიკარი“. დარგვა ვაწარმოეთ პირველ წელს 25 აპრილს, ხოლო მეორე წელს 4 მაისს 10-15 ლიტრიანი ტევადობის ვედროები. პირველი ორი კვირის განმავლობაში ზომიერად ვრწყავდით, შემდეგ დავამონტაჟეთ წვეთოვანი სარწყავი სისტემა, რომლის მეშვეობითაც წყალი პირდაპირ ფესვებს მიეწოდებოდა. ვუზრუნველყოფდით ოპტიმალური ტემპერატურის პირობებს 25-30°C დღე-ღამის განმავლობაში. ყოველ 10 დღეში ერთხელ წყალში ვამატებდით ნაცრის ნაყენს და კალიუმის სულფატს, ასევე 2-3 ჯერ ვკვებავდით ქათმის წუნწუხით.
ნიადაგის გაფხვიერებას ვაწარმოებდით 5-6 სმ-ის სიღრმეზე. ვსხლავდით ყოველ მე-10 დღეს. მოსავალი „ვიოლეტ ლუნგა“-მ საშუალოდ 4-5კგ, ხოლო „ვიკარ“- მა 5-6 კგ. მოგვცა ვედროზე. ცდებმა გვიჩვენა, რომ ბადრიჯნის კულტურის ჯიშების „ვიოლეტ ლუნგა“და „ვიკარი“-ს. მოყვანა ვედროში საკმაოდ ეფექტურია და იმ ადამიანებს, ვისაც აქვს სურვილი ამ კულტურის მოყვანის თავისუფლად შეუძლია ეს გააკეთოს მცირე ნაკვეთზე ან აივანზე.

საკვანძო სიტყვები: ბადრიჯანი, ვედრო, აივანი, „ვიოლეტ ლუნგა“, „ვიკარი“

ძალიან ბევრ ადამიანს, რომელთაც არ აქვსთ საშუალება ბოსტნეული კულტურები მოიყვანონ ღია გრუნტში დიდ ტერიტორიაზე, მაგრამ უნდათ საკუთარი ბადრიჯნის მოყვანა, შეუძლიათ ის გამოზარდონ ვიწრო სივრცეში ან აივნებზეც კი თუმცა, ამ მეთოდს აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომელთა გათვალისწინება ძალზედ მნიშვნელოვანია.

უპირატესობა მისი დაბალი ღირებულება და ბოსტნეულის წარმოებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის შესაძლებლობაა. პატარა, თბილი კონტეინერი მოსავლის თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიღების საშუალებას იძლევა.

ვედროების სათბურში განთავსებისას, ვედროები ოდნავ უნდა იყოს იარუსებად დაალაგებული და აწეული მიწიდან მაღლა. ამ გზით, თბილი ნიადაგი უზრუნველყოფს ადრეულ მოსავალს, ხოლო კომპაქტური განლაგება მნიშვნელოვნად დაზოგავს ადგილს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა დიზაინის პორტაბელურობაა. საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია მარტივად გადავიტანოთ ვედროები ახალ ადგილას. გარდა ამისა, გაცილებით ადვილია პატარა ნარგავების მოვლა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის მიიღებს საჭირო რაოდენობის ნიადაგს, ტენიანობას და საკვებ ნივთიერებებს.

მთავარი პრობლემა ნიადაგის საკმარისი ტენიანობის ნაკლებობაა. ამიტომ, ნერგები ყოველდღიურად უნდა მოირწყას. თუ მორწყვას გამოვტოვებთ, ნიადაგი შეიძლება გამოშრეს და მცენარეები დაზიანდეს. ამ სიტუაციაში შეგვიძლია გამოვიყენოთ ნიადაგში შერეული სპეციალური ჰიდროგელი. ის აგროვებს ტენიანობას და საჭიროების შემთხვევაში თანდათანობით გამოყოფს მას ფესვთა სისტემაში.

ვედროებში ბადრიჯნის მოყვანა საშუალებას გვაძლევს, პატარა ნაკვეთი ან აივანიც კი ნაყოფიერ ოაზისად ვაქციოთ.

იდეალური კონტეინერებია პლასტმასის ან ლითონის ვედროები 10-15-30 ლიტრი ტევადობით. ლითონი უფრო გამძლეა, მაგრამ უფრო ცხელდება, რამაც შეიძლება გაზარდოს ნიადაგის სიმშრალე. პლასტმასის კონტეინერებს უნდა ჰქონდეს სქელი კედლები - მათ შეუძლიათ როგორც სიცხის, ასევე სიცივის ატანა.

ზედმეტი ტენიანობის მოსაშორებლად, ვედროში უნდა გავაკეთეთ თანაბარი ზომის სადრენაჟო ხვრელები (1 სმ დმ). ნახვრეტების გაბურღვა შესაძლებელია როგორც ძირში, ასევე გვერდის ქვედა კიდის გასწვრივ. ზედმეტი ტენიანობის შეუფერხებელი დრენაჟის უზრუნველსაყოფად, ვედროები უნდა მოთავსდეს ხის პალეტებზე ან აგურის სადგამებზე.

ჩვენ შემთხვევაში შერჩეული გვქონდა 10-15 ლიტრიანი ტევადობის ვედროები.
ძირში გავუკეთეთ 5-7 ნახვრეტი, შემდეგ კონტეინერი 3:2:1 თანაფარდობით მიწის, კომპოსტის და პერლიტის ნარევით შევავსეთ. გასაშენებლად შევარჩიეთ ადრეული ჯიში: „ვიოლეტ ლუნგა“ და „ვიკარი“.

„ვიოლეტ ლუნგა“-ბადრიჯნის პოპულარული ჯიშია. მცენარე ძლიერმზარდი, სიმაღლე აღწევს 80-90 სმ.,კარგად ადაპტირებადია ნებისმიერ კლიმატსა და ნიადაგში, ნაყოფი საუკეთესო ხარისხის, მუქი შავი ფერის(იისფერი ელფერით), ერთგვაროვანი, სიგრძით 21-22 სმ., სიგანით 6-7 სმ., გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობითა და მიმზიდველი საბაზრო შესახედაობით.

„ვიკარი“-ადრეული სიმწიფის ჯიშია. მცენარე ნახევრად გაშლილი და კომპაქტური. ნაყოფი მსხლის ფორმისაა, ტექნიკური სიმწიფის დროს ღია იისფერი, 16-20 სმ სიგრძის, მომრგვალებული ზემოდან. რბილობი მკვრივი და ღია მწვანეა. ჯიშის ღირებულება მოიცავს ადრეულ სიმწიფეს და დაავადებებისადმი მდგრადობას. ეს ჯიში გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და მუდმივი მოსავლით. კარგად ეგუება ტემპერატურისა და ტენიანობის უეცარ ცვლილებებს.

ნერგები პირველ წელს 25 აპრილს, ხოლო მეორე წელს 4 მაისს დავრგეთ, მათი პირველი ნამდვილ ფოთლების გამოტანისთანავე.

პირველი ორი კვირის განმავლობაში ზომიერად ვრწყავდით, შემდეგ დავამონტაჟეთ წვეთოვანი სარწყავი სისტემა (პლასტმასის ბოთლს მოვჭერით ქვედა ნაწილი, ჩავაფლეთ ყელით ვედროში) რომლის მეშვეობითაც წყალი პირდაპირ ფესვებს მიეწოდებოდა.

ბადრიჯანი სითბოს მოყვარული მცენარეა. ამიტომ პირველ რიგში, ვუზრუნველყავით ოპტიმალური ტემპერატურის პირობები. რეკომენდებული ზრდის ტემპერატურა 25-30°C და ეს უნდა შენარჩუნდეს არა მხოლოდ დღისით, არამედ ღამითაც, რადგან ბადრიჯა-

ნი სიგრილეში გაცილებით ნელა იზრდება. ბადრიჯნისთვის ჰაერის ტენიანობა უნდა იყოს 60-70%.

ვედროებში გაშენებულ ბადრიჯანს რეგულარული განოყიერება სჭირდება. სასუქის პირველი შეტანა ხდებოდა დარგვიდან დაახლოებით 15 დღის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სასუქი უნდა შეიცავდეს აზოტის მნიშვნელოვან პროცენტს, რაც დადებითად მოქმედებს მცენარის ზრდაზე. შემდგომ კი ყოველ 10 დღეში ერთხელ წყალში ვამატებდით ნაცრის ნაყენს (1 ჭიქა ნაცარი 3 ლ. წყალზე) და კალიუმის სულფატს (1 ჩაის კოვზი თითო ვედროზე), ასევე 2-3 ჯერ ვკვებავდით ქათმის წუნწუხით.

ვედროებში გაშენებული ბადრიჯნის მოვლის მნიშვნელოვანი ეტაპია ნიადაგის გაფხვიერება. ეს ძალიან ფრთხილად უნდა გაკეთდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარის ფესვთა სისტემის დაზიანება. ამიტომ, გაფხვიერებას ვაწარმოებდით 5-6 სმ-ის სიღრმეზე. ბადრიჯნის გასხვლას ვაწარმოებდიტ 10 დღეში

მოსავალი „ვიოლეტ ლუნგა“-მ საშუალოდ 4-5კგ, ხოლო „ვიკარ“- მა 5-6 კგ. მოგვცა ვედროზე.

ცდებიდან გამომდინარე შეგვიძლია ბადრიჯნის გაშენება ვედროებში მცირე ნაკვეთებზე ან აივანზეც კი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ებრალიძე, შ. ლომინაძე – მებოსტნეობა- „ ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი- 2016წ.
2. ნ. ჩაჩხიანი-ანასაშვილი, მ. ყუბანეიშვილი, ზ. ხიდააშელი - ბადრიჯნის გავრცელებული ჯიშები და სახეობები - ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“. 2022წ.

Growing Eggplants in a Bucket

Maka Kubaneishvili
Candidate of Agricultural Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia
Natalia Santeladze
Academic Doctor of Agricultural Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

The article discusses the cultivation of eggplant in buckets, which allows you to turn even a small plot or balcony into a fertile oasis. Two varieties were selected: the "Violet Lunga" and "Vicar" varieties. We planted them in buckets with a capacity of 10-15 liters in the first year on April 25, and in the second year on May 4. For the first two weeks, we watered moderately, then installed a drip irrigation system through which water was supplied directly to the roots. We ensured optimal temperature conditions of 25-30°C day and night. Every 10 days, we added ash powder and potassium sulfate to the water, and also fed chicken manure 2-3 times.We loosened the soil to a depth of 5-6 cm. We watered every 10 days. The harvest of "Violet Lunga" was on average 4-5 kg, and "Vicar" 5-6 kg. gave us a bucket. Experiments have shown that growing eggplant varieties "Violet Lunga" and "Vicar" in a bucket is quite effective, and those who want to grow this crop can freely do so on a small plot or on a balcony.

Keywords: Eggplant, bucket, balcony, "Violetta Lunga ", "Vicar"

Many people who do not have the opportunity to grow vegetables in open ground on a large area, but want to grow their own eggplant, can grow it in a narrow space or even on balconies. or this, we selected buckets with a capacity of 10-15 liters.

We made 5-7 holes in the bottom, then filled the container with a mixture of soil, compost and perlite in a ratio of 3:2:1

We chose early varieties for cultivation: “Violet Lunga” and “Vikari”.

“Violet Lunga” is a popular eggplant variety. The plant is vigorous, reaches a height of 80-90 cm, adapts well to any climate and soil, the fruits are of the best quality, dark black in color (with a purple tint), uniform, 21-22 cm long, 6-7 cm wide, are distinguished by high yield and attractive market appearance.

“Vikari” is an early ripening variety. The plant is compact. The fruit is pear-shaped, light purple in technical ripeness, 16-20 cm long, rounded at the top. The pulp is dense and light green. The value of the variety includes early maturity and resistance to diseases. This variety is distinguished by high productivity and constant yield. It adapts well to sudden changes in temperature and humidity.

We chose early varieties for cultivation: “Violet Lunga” and “Vikari”.

We planted the seedlings on April 25 in the first year and on May 4 in the second year, as soon as their first true leaves appeared. For the first two weeks, we watered them moderately, then installed a drip irrigation system (we cut off the bottom of a plastic bottle and immersed it in a bucket with its neck down), through which water was supplied directly to the roots.

Eggplant is a heat-loving plant. Therefore, first of all, we need to ensure optimal temperature conditions. The recommended growth temperature is 25-30°C and this should be maintained not only during the day, but also at night, because eggplant grows much more slowly in cool weather. The humidity of the air for eggplant should be 60-70%.

Eggplants grown in buckets need regular watering. The first fertilizer application was made approximately 15 days after planting. It is worth noting that the fertilizer should contain a significant percentage of nitrogen, which has a positive effect on plant growth.

Then, every 10 days, we added ash powder to the water (1 cup of ash per 3 liters of water) and potassium sulfate (1 teaspoon per bucket), and we fed with chicken droppings 2-3 times.

An important stage in the care of eggplants grown in buckets is loosening the soil. This must be done very carefully to avoid damaging the plant’s root system. Therefore, we loosened to a depth of 5-6 cm.

I pruned eggplants every 10 days.

The harvest of “Violet Lunga” was an average of 4-5 kg, and “Vicar” 5-6 kg. per bucket.

Based on our experiments, we can grow eggplants in buckets on small plots or even on the balcony.

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრონEWS. ISSN 2346-8467
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL AGRONEWS. №12. 2025
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ АГРОNEWS. Roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

აზიური ფაროსანა (Halyomorpha Halys) გავრცელება იმერეთის რეგიონში

გიორგი იაკობაშვილი
გარემოს დაცვისა და სოფლის მერნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, თბილისი, საქართველო.
ნუნუ ჩაჩხიანი–ანასაშვილი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი–პროფესორი. ქუთაისი. საქართველო.
ლალი ლორთქიფანიძე
გარემოს დაცვისა და სოფლის მერნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, ქუთაისი, საქართველო.

ნაშრომში მოცემულია აზიურ ფაროსანას გავრცელება და განვითარების ინტენსივობა იმერეთის რეგიონში. მეზამთრეობიდან გამოსვლასა და შემდგომ ფენოფაზებზე დაკვირვება (მავნებლის კვერცხის ფაზიდან და სხვა დანარჩენი ფაზების რიცხოვნობის მარეგულირებელი ფაქტორების შესწავლას). რაც სრულ სურათს წარმოდგენას ახალ სამეურნეო წელს ფაროსანას გამრავლების პოტენციალის და შესაბამისად მავნეობის დონის პროგნოზირებისათვის. კერძოდ: გამოზამთრების დინამიკა, ამ პერიოდში მავნებლის საერთო პოპულაციური მდგომარეობის ანალიზი (გამოზამთრებული ფაროსანას რიცხოვნობა - დიაპაუზის პერიოდში ბუნებრივი სიკვდილიანობის % ჰაბიტატების გათვალისწინებით, გადარჩენილი ინდივიდების სიცოცხლის–უნარიანობა, ამ მაჩვენებლებში მტაცებლებისა და პარაზიტების როლი, სქესთა შეფარდება, საბინადრო გარემოს ეკოლოგიური ინდექსების გავლენა პოპულაციის რიცხოვნობაზე და სხვა).

აზიურ ფაროსანას გავრცელების არეალის დასადგენად დახმარებას გვიწევდა „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს და „ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბი“-ის თანამშრომელთა მიერ ყველა რაიონში განთავსებული მწერსაჭერი ფერომონები (ხაფანგები), რომლის საშუალებითაც ისაზღვრებოდა მავნებლის გავრცელებისა და დასახლების სიმჭიდროვე, დაკვირვებები წარმოებდა ფენოლოგიური ფაზების განვითარებაზე (კვერცხი, 1,2,3,4 ასაკის ნიმფა და ზრდასრული - იმაგო). მეზათრეობიდან გამოსული აზიური ფაროსანა აპრილის ბოლოსა და მაისში იწყებს დამატებით კვებას და ჯგუფებად კვერცხდებას ფოთლის ქვედა მხარეზე.

ფაროსანას წინააღმდეგ ასევე გამოიყენებული იქნა შემდეგი დასახელების ინსექტიციდები: პირინექს სუპერი (ბიფენტრინი + ქლორპირიფოსი) - 0,8-1,5ლ/ჰა; ნურელ დ (ქლორპირიფოსი +ციპერმეტრინი) - 0,4-1 ლ/ჰა; არივო(ციპერმეტრინი) - 0,2 ლ/ჰა; აქტარა(თიამეტოქსამი) - 0,12-0,14 კგ/ჰა; კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი) - 0,1კგ/ჰა.

საკვანძო სიტყვები: მცენარე, აზიური ფაროსანა, პესტიციდები, ფერომონები.

აზიური ფაროსანა (Halyomorpha Halys) საქართველოში პირველად 2015 წელს დაფიქსირდა, რომელიც აზიანებს სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კულტურებს, ამცირებს პროდუქციის ხარისხს და ზოგიერთ შემთხვევაში გამოუსადეგარს ხდის. იგი განსაკუთრებულ ზიანს აყენებს თხილს, ატამს, ვაშლატამას, ვაშლს, მსხალს, ჟოლოს, პომიდორს, წიწაკას,

მზესუმზირასა და სიმინდს. მავნებლის ძლიერი აფუთქების დროს ზარალმა შესაძლოა, მოსავლის ღირებულების 70%-იც კი შეადგინოს.

ჩვენს მიერ საველე დაკვირვებები აზიურ ფაროსანაზე (**Halyomorpha halys**) ტარდებოდა მთელი სეზონის განმავლობაში, რომელიც მავნებლის მეზამთრეობიდან გამოსვლასა და განვითარების შემდგომ ფენოფაზებზე დაკვირვებას (მავნებლის კვერცხის ფაზიდან და სხვა დანარჩენი ფაზების რიცხოვნობის მარეგულირებელი ფაქტორების შესწავლას) მოიცავდა, რაც შეგვიქმნიდა სრულ წარმოდგენას ახალ სამეურნეო წელს ფაროსანას გამრავლების პოტენციალის და შესაბამისად მავნეობის დონის პროგნოზირებისათვის. კერძოდ: გამოზამთრების დინამიკა, ამ პერიოდში მავნებლის საერთო პოპულაციური მდგომარეობის ანალიზი (გამოზამთრებული ფაროსანას რიცხოვნობა - დიაპაუზის პერიოდში ბუნებრივი სიკვდილიანობის % ჰაბიტატების გათვალისწინებით, გადარჩენილი ინდივიდების სიცოცხლისუნარიანობა, ამ მაჩვენებლებში მტაცებლებისა და პარაზიტების როლი, სქესთა შეფარდება, საბინადრო გარემოს ეკოლოგიური ინდექსების გავლენა პოპულაციის რიცხოვნობაზე და სხვა).

მონიტორინგი ტარდებოდა იმერეთის რეგიონში: თერჯოლის, წყალტუბოს, ზესტაფონის, საჩხერის, ჭიათურის, ხონის, ბაღდათის, ვანის, ტყიბულის, სამტრედიის რაიონის სოფლებში.

აზიურ ფაროსანას გავრცელების არეალის დასადგენად დახმარებას გვიწევდა „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს და „ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბი“-ის თანამშრომელთა მიერ ყველა რაიონში განთავსებული მწერსაჭერი ფერომონები (ხაფანგები), რომლის საშუალებითაც ვსაზღვრავდით მავნებლის გავრცელებასა და დასახლების სიმჭიდროვეს, ვაკვირდებოდით ფენოლოგიური ფაზების განვითარებას (კვერცხი, 1,2,3,4 ასაკის ნიმფა და ზრდასრული - იმაგო). მეზათრეობიდან გამოსული აზიური ფაროსანა აპრილის ბოლოსა და მაისში იწყებს დამატებით კვებას და ჯგუფებად კვერცხდებას ფოთლის ქვედა მხარეზე. კვერცხი მომწვანო თეთრია, გამოჩეკვის წინ იძენს მოყავისფრო ფერს. 45 დღეში ჩნდებიან მოწითალო ნიმფები (მატლები), რომლებიც ფერს თანდათან იცვლიან (მეორე ასაკში მოშავო, ხოლო შემდგომ მოთეთროყავისფერი ხდებიან), 5 ასაკის გავლის შემდეგ გადაიქცევიან იმაგოებად. ზრდასრული მავნებლის ზომა 12–17 მ–მია, განიერი, ყავისფერი, მარმარილოსებრი ტექსტურით, ფეხებზე, მუცლის გვერდებსა და ულვაშებზე თეთრი ზოლებით. მავნებელი იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით, ხორთუმის მეშვეობით ხვრეტს ახალშემოსული თხილის ნაჭუჭს, ათხელებს ნაყოფის შიგთავსს და წარმოქმნის კორპისებრ ლპობად ლაქებს. ფაროსანას მიერ დაზიანებული ხეხილის ნაყოფი დეფორმირდება, დაზიანების ადგილებში ვითარდება ყავისფერი ლაქები და ხილი საკვებად გამოუსადეგარი ხდება. აღრიცხვებმა გვიჩვენა, რომ მეორე გენერაციის ზრდასრული ფორმა გამოფრინდა ივლისის შუა რიცხვებიდან - აგვისტოს დასაწყისში, 5 დღის შემდეგ კი ფიქსირდა კვერცხდება, შემდეგ ნიმფები.

სექტემბრ – ოქტომბერში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, იმერეთის რეგიონში ყველა ლოკაციაზე სქესმჭერებზე დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ფაროსანას, როგორც

ზრდასრული ფაზა ისე ნიმფის ქვეფაზა, თითქმის იმერეთის რეგიონის ყველა ზონა გაწითლდა.




სურ#1: მოცემულია ბარდათისა და როხის სოფლებში – ფერომონებზე დაფიქსირებული ფაროსანების რაოდენობა.

გამომდინარე აქედან, განხორციელდაა გამოცდილი, საკმაოდ შედეგიანი ქიმიური საშუალებებით დამუშავება, კერძოდ თერმული ნისლის გამოყენება, რომელსაც ეფექტიანად განახორციელა „სურსათის ეროვნული სააგენტომ და ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბი“–მა. ამ ღონისძიებამ ყველა ჰაბიტატში აზიური ფაროსანას რიცხოვნობის მავნეობა მნიშვნელოვანად შეამცირა.

ქიმიური პრეპარატების შესხურება ჩატარდა მათი გამოყენების წესების და ლოდინის პერიოდის მკაცრი დაცვით. ძირითადად მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენებოდა საქართველოში რეგისტრირებული სინთეზური პირეტროიდებისა და ნეონიკოტინოიდების ჯგუფის ინსექტიციდები, რომლებიც საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მიხედვით და ამერიკელი მეცნიერების გამოცდილებიდან გამომდინარე ეფექტურობით გამოირჩევა. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ყველაზე ეფექტიანია პირეტროიდული ჯგუფის ბიფენტრინის შემცველი პრეპარატები, რომელთაგანაც საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომია: ტალსტარი, ზონდერი, ინსეკარი და კურა-კურა. პრეპარატების ხარჯვის ნორმაა 0.6-1ლ/ ჰექტარზე.

გარდა ამისა ფაროსანას წინააღმდეგ აგრეთვე გამოიყენებებოდა შემდეგი ინსექტიციდები: პირინექს სუპერი (ბიფენტრინი+ქლორპირიფოსი)0,8-1,5ლ/ჰა; ნურელ დ (ქლორპირიფოსი+ციპერმეტრინი) - 0,4-1; არივო(ციპერმეტრინი) - 0,2 ლ/ჰა; აქტარა (თიამეტოქსამი) - 0,12-0,14 კგ/ჰა; კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი) - 0,1კგ/ჰა და სხვა ზემოაღნიშნული ჯგუფების პრეპარატები.

აუცილებელია ხეხილისა და თხილის ბაღებში მაისიდან დაიწყოს ინტენსიური დაკვირვება მასპინძელ მცენარეებზე და მავნებლის ქიმიური წამლობები ჩატარდეს ნიმფის (მატლის) გამოჩენის შემთხვევაში.

• პირველი წამლობა ჩატარდეს ნიმფების მასიური გამოჩეკვის შემდეგ. იმერეთის ზონაში ივნისის დასაწყისში, ხოლო მაღალი ზონის ადგილებში - შედარებით მოგვიანებით. ინსექ-

ტიციდების შესხურება ძირითადად ჩატარდეს თხილნარებში, რადგან ამ პერიოდისათვის მავნებელი უპირატესად ამ კულტურაზეა დასახლებული. ამავე პერიოდში ჩატარდეს შესხურება ხეხილოვან და ბოსტნეულ კულტურებზე.

• მეორე წამლობა ზემო ჩამოთვლილ კულტურებზე ჩატარდეს ივნისის ბოლოს-ივლისის დასაწყისში.

• მესამე წამლობა ჩატარდესა თხილის მოსავლის აღების შემდეგ.

• მეოთხე წამლობა ჩატარდეს სიმინდის და სხვა ნათესებში გავრცელებულ მავნებელზე ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში.

• მეხუთე წამლობა ჩატარდეს სიმინდის ნათესებში საჭიროების მიხედვით.

გარდა ამისა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ასევე ეფექტიანია გამოიყენონ ე.წ. „მოიზიდე და მოკალის“ მეთოდი. ინსექტიციდით გაჟღენთილი ბადე თავსდება ნაკვეთის პერიმეტრზე, სადაც მავნებლის მოზიდვის მიზნით მაგრდება 2-3 ერთეული ფერომონი. ბადესთან კონტაქტის შედეგად ფაროსანა კვდება. ხოლო ვეგეტაციის პერიოდში ბაღის კიდეზე არსებულ მცენარეზე 5 ან მეტი ფერომონი თავსდება და ტარდება ყოველკვირეული წამლობა ზემოთხსენებული ინსექტიციდებით.

სახლებში შესულ ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარდეს მექანიკური ბრძოლა სხვადასხვა მეთოდით (მაგ. ხელით განადგურება; ფოტოტაქსისი სინათლეზე მიზიდვა; მუყაოს კარდონების გამოყენება; მტვერსასრუტით შეგროვება და განადგურება).

მომავალ სეზონში გასათვალისწინებელი კვლევების ჩასატარებლად: ნოემბრის თვეში შეგროვებული იქნა მწერის 270 ეგზემპლიარი, რომელთა შორის მდედრი აღმოჩნდა 170 ინდივიდი, ხოლო მამრი 100. დაღუპული იყო 20 ეგზემპლიარი. აღრიცხულ მავნებლებიდან გამომდინარე ახალი სეზონისათვის წინასწარი პროგნოზი ასეთია:

1. აზიური ფაროსანას პოპულაციაში უპირატესია მდედრების რიცხოვნობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მავნებლის საშიშროების კვლავ მაღალ დონეს (მასობრივი გამრავლების ალბათობა) შემდგომ წლის სეზონზე.
2. სასურველია აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შორის, გარკვეული ყურადღება დაეთმოს ქვეყანაში არსებული სასარგებლო ორგანიზმების ადგილობრივი ბიოაგენტების (პარაზტების და მტაცებლები) გამოვლინება– შესწავლას და მათი არეალის გაფართოება-გამრავლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეილა ბაზერაშვილი, მანანა კევლიშვილი, თამარ დოლბაია, გიორგი იაკობაშვილი პირველადი მონაცემები ყავისფერი მარმარილოსებრი ფაროსანა ბაღლინჯოს Halyomorpha halys (Hemiptera:Pentatomidae). გავრცელების მდგომარეობის შესახებ კახეთის რეგიონში. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. აგრო-News 2021,გვ.20-25.
2. https://ka.wikipedia.org/wiki/ფასოსანას გავრცელება
3. https://khasaia.wordpress.com/2017/01/28/ ნახევრად ხეშეშფრთიანთა რაზმის წარმომადგენელი.

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრონEWS. ISSN 2346-8467
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL AGRONEWS. №12. 2025
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ АГРОNEWS. Roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

Distribution of the Asian falcon (Halyomorpha Halys) in the Imereti region

Giorgi Iakobashvili
Head of the National Food Agency of the Ministry of Environmental Protection and Agriculture, Tbilisi, Georgia.
Nunu Chachkhiani-Anasashvili
Candidate of Agricultural Sciences, Akaki Tsereteli State University – Professor. Kutaisi. Georgia.
Lali Lortkipanidze
Ministry of Environmental Protection and Rural Development, LEPL National Food Agency, Kutaisi, Georgia.

The paper presents the results of the spread and development of the Asian pheasant in Imereti. Observation of the emergence from wintering and subsequent phenophases (study of factors regulating the number of the pest from the egg phase and other phases). Which provides a complete picture for predicting the potential of the pheasant reproduction in the new agricultural year and, accordingly, the level of harmfulness. Namely: wintering dynamics, analysis of the overall population status of the pest during this period (number of wintering falcons - % of natural mortality during diapause, taking into account habitats, viability of surviving individuals, the role of predators and parasites in these indicators, sex ratio, the impact of ecological indices of the habitat on population size, etc.).

Keywords: Plant, Halyomorpha Halys, Pesticides, Pheromones

The distribution area of Halyomorpha Halys was determined by the use of pheromone traps (traps) placed in all districts by the employees of the National Food Agency and the Coordination Headquarters for Combating the Aphids, which allowed us to limit the spread and density of the pest, and observations were made of the development of phenological phases (egg, 1st, 2nd, 3rd, 4th instar nymphs and adult - imago).. The Asian hornet, emerging from the mesentery, begins to feed additionally in late April and May and lays eggs in groups on the underside of the leaf. After 45 days, reddish nymphs (maggots) appear, which gradually change color (in the second instar they become black, and then become whitish-brown), and after 5 instar nymphs they turn into imagoes. The adult pest is 12–17 mm long, broad, brown, with a marbled texture, with white stripes on the legs, sides of the abdomen and whiskers. The pest feeds on the sap of leaves, shoots and fruits. The borer pierces the shell of newly hatched nuts with its proboscis, thinning the fruit interior and forming cork-like rotting spots. Fruits damaged by the borer are deformed, brown spots develop in the damaged areas and the fruit becomes unfit for consumption.

The following insecticides were also used against Halyomorpha Halys: Pirinex Super (bifenthrin + chlorpyrifos) - 0.8-1.5 l/ha; Nurel D (chlorpyrifos + cypermethrin) - 0.4-1 l/ha; Arivo (cypermethrin) - 0.2 l/ha; Aktara (thiamethoxam) - 0.12-0.14 kg/ha; Confidor Max (imidacloprid) - 0.1 kg/ha and other preparations of the above groups.

In addition, the so-called "Attract and kill" method. A net impregnated with insecticide is placed around the perimeter of the plot, where 2-3 units of pheromone are attached to attract the pest. As a result of contact with the net, the pharoah dies. During the growing season, 5 or more pheromones are

placed on the plants at the edge of the garden and weekly treatment with the above-mentioned insecticides is carried out.

The Halyomorpha Halys that entered the houses were controlled mechanically using various methods (e.g. manual destruction; phototaxis to light; use of cardboard boxes; collection and destruction with a vacuum cleaner). For the next season, studies to be considered: 270 specimens of the insect were collected in November, of which 170 individuals were found to be female, and 100 were male. 20 specimens died. Based on the recorded pests, the preliminary forecast for the new season is as follows:

The number of females prevails in the Asian pheasant population, which significantly determines the continued high level of pest danger (probability of mass reproduction) in the next season.

Among the measures to combat the Asian pheasant, it is desirable to pay some attention to the study of the occurrence and local bioagents (parasites and predators) of beneficial organisms present in the country and to create favorable conditions for the expansion and reproduction of their range.

2 ინჟინერია
ENGINEERING
ИНЖИНЕРИЯ



პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრონEWS. ISSN 2346-8467
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL AGRONEWS. №12. 2025
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ АГРОNEWS. Roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

ახალი ტიპის ლუდისა და სასმელების მისაღებად გამოყენებული ფერმენტები

ეკატერინე ბენდელიანი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

ნაშრომში განხილულია ახალი ტიპის ლუდისა და სასმელების მისაღებად გამოყენებული ფერმენტები. სხვადასხვა დაბალნახშირწყლოვანი დიეტების ეფექტურობით მოტივირებული მილიონობით ადამიანი ცდილობს შეზღუდოს ნახშირწყლების მიღება. შედეგად, კვების ინდუსტრია იძულებულია, შეცვალოს წარმოებული პროდუქტების რეცეპტურები დაბალკალორიულ საკვებზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. დაბალნახშირწყლოვანი შეიძლება არ იყოს ჯანსაღი წონის შენარჩუნების ერთადერთი გამოსავალი, მაგრამ მომხმარებელთა ქცევის ამ დრამატულმა ცვლილებამ შეიძლება კვების ინდუსტრიაში შემდგომი, უფრო ღრმა ცვლილებები გამოიწვიოს. მაღალკალორიული, შაქრითა და ნაჯერი ცხიმებით მდიდარი საკვების მოხმარების ზრდამ, ფიზიკური აქტივობის შემცირებასთან ერთად, გამოიწვია ჭარბწონიანი მოსახლეობის ზრდა. საუკუნეების განმავლობაში, ფერმენტები უსაფრთხოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა საკვებ პროდუქტებში. ფერმენტების ბიოლოგიური მრავალფეროვნება კვების მრეწველობას ფართო შესაძლებლობებს აძლევს. ბიოტექნოლოგიის სამომავლო გამოყენება, სავარაუდოდ, მიმართული იქნება ისეთი ფერმენტების შექმნისკენ, რომლებიც დადებითად აისახება მომხმარებლის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. საკვებისა და სასმელების მწარმოებლები შემდეგში სულ უფრო ხშირად გამოიყენებენ ბიოაქტიურ ფერმენტებს იმ პროდუქტების შესაქმნელად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მსოფლიოში არსებული პრობლემების მოგვარებას.

საკვანძო სიტყვები: ფერმენტები, ლუდი, სასმელები, საკვები პროდუქტები.

როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში სულ უფრო მეტი ადამიანი იტანჯება არასწორი კვებით, რაც იწვევს დაავადებებსა და სიკვდილიანობის ზრდას. ფერმენტები ხელს უწყობენ ახალი საკვები პროდუქტების შექმნას და არსებული პროდუქტების გაუმჯობესებას, რომლებიც დააკმაყოფილებენ ჯანსაღი და სასარგებლო საკვებისა და სასმელების მზარდ მოთხოვნას. ისინი შერჩევით მოქმედებენ საკვების კომპონენტებზე, საკვებისა და სასმელების შემადგენლობისა და წარმოების პროცესის მიხედვით. ფერმენტების გამოყენებით, კვების ტექნოლოგებს შეუძლიათ შერჩევითად მოახდინონ ნახშირწყლების, ცილების და ლიპიდების მოდიფიცირება რთულ კვების სისტემებში და შექმნან უსაფრთხო და გემრიელი პროდუქტები. მაგალითად, კვების რთულ სისტემაში ერთი ცილის შერჩევით მოდიფიცირებისთვის სხვა ცილების, ნახშირწყლებისა და ლიპიდების თვისებებზე ზემოქმედების გარეშე, კონკრეტული ამინომჟავური ჯაჭვის დამშლელი ფერმენტის გამოყენება შეიძლება უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე გაცხელება ან ქიმიური ოქსიდანტების დამატება. გარდა ამისა, ფერმენტები, რომლებიც ბიოლოგიური ცილებია და საიმედოდ გამოიყენება მრავალი წლის განმავლობაში, ბევრ ქიმიურ დანამატთან შედარებით უვნებლად ითვლება.

თანამედროვე ფერმენტული ტექნოლოგია პირველად გამოიყენეს სახამებლის ჰიდროლიზში, სადაც ფერმენტები გამოიყენება როგორც სახამებლის, ასევე მისი ქვეპროდუქტების (მალტოდექსტრინები, გლუკოზა და კონცენტრირებული სიროფები) ჰიდროლიზებისთვის. ამ მასალების წარმოების გზები და ამ მიზნით ფერმენტების გამოყენება კარგად არის შესწავლილი [1]. ფერმენტების გამოყენება საკვების წარმოებაში თანდათანობით ხდებოდა, მათი კატალიზური აქტივობის გაუმჯობესებით, საკვები ნედლეულის გაფართოებული დიაპაზონით, პროცესის მჟავიანობითა და ტემპერატურით, ასევე ფერმენტების ხარჯების შემცირებით. ფერმენტების გამოყენებამ საშუალება მისცა ტრადიციული პროდუქტები ახალი მიზნებისთვის გამოყენებულიყო. მაგალითად, მალტოზის სიროფი, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება ლუდის ინდუსტრიაში, ახლა გამოიყენება მალტიტოლის წარმოებაში, პროდუქტის, რომლის შედარებითი სიტკბო შაქრის 90%-ია. ისეთი პროდუქტების ტრადიციული რეცეპტების უმეტესობაში, როგორიცაა მარცვლეული, მშრალი ნარევები და რძის პროდუქტები, მალტიტოლს ახლა შეუძლია საქაროზას ჩანაცვლება. ინულინაზას ფერმენტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა ფრუქტოზის პოლიმერების (ვარდკაჭაჭა და იერუსალიმის არტიშოკი) შემცველი კულტურების გამოყენება ფრუქტანებისა და ფრუქტოზის წარმოებისთვის [2], რომლებიც გამოიყენება საკვები ბოჭკოების და დაბალკალორიული დამატკბობლების წარმოებაში. ციკლოდექსტრინების [3] გამოყენება, როგორც არომატიზატორების, საკვები საღებავებისა და ზოგიერთი ვიტამინის მატარებლები და სტაბილიზატორები, შესაძლებელი გახდა ციკლოდექსტრინ გლუკოზილტრანსფერაზას შემუშავების შემდეგ, რომელიც სახამებლის დამშლელი ფერმენტია და სახამებელს გარდაქმნის ციკლური მალტოლიგოსაქარიდების (ციკლოდექსტრინების) ნარევად. იმის გამო, რომ ციკლოდექსტრინებს აქვთ ჰიდროფილური ზედაპირი და ჰიდროფობიური სიცარიელეები, რაც მათ საშუალებას აძლევს შექმნან ჯგუფები მცირე ჰიდროფობიურ მოლეკულებთან, ციკლოდექსტრინის კომპლექსებს შეუძლიათ გაზარდონ თერმომდგრადობა და დაჟანგვისადმი წინააღმდეგობა, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას პროდუქტების არასასურველი გვერდითი თვისებების შესამცირებლად და მათი გემოსა და სუნის შესაცვლელად.

ლუდის ხარშვის ინდუსტრიაში, ლუდსახარშის პროცესის ეფექტურობაზე, პროდუქტის ხარისხის სტაბილურობასა და დამხმარე საშუალებების გამოყენებაზე მზარდმა მოთხოვნებმა (ქერის ალაოს ნაცვლად ნახშირწყლების წყაროების ჩართვა) გამოიწვია ეგზოგენური ფერმენტების გამოყენება. α -ამილაზა, β-ამილაზა, გლუკოამილაზა, β-გლუკანაზა (ენდო-1,3-β-გლუკანაზა) და პროტეინაზა დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება ლუდის წარმოებაში [4;5].

ბოლო დროს გაჩნდა ინტერესი ისეთი ლუდის შექმნის მიმართ, რომელშიც ლუდის დუღილის ხარისხი კონტროლდება და რეგულირდება. [6] შემცირებული ან ალკოჰოლის შემცველობის გარეშე ლუდის წარმოება მიღწეული იქნა თბოსტაბილური, მიზნობრივი ფერმენტების კომბინაციის გამოყენებით (მაგ., Amilex 3T და β-გლუკანაზა 750L Genencor-ისგან). ეს ფერმენტები უზრუნველყოფენ სახამებლის გამოყოფას და ჰიდროლიზს და ერთდროულად ამცირებენ ლუდის სიბლანტეს, რაც იწვევს ფერმენტირებადი ოლიგოსაქარიდების უფრო მაღალ დონეს ტრადიციულ ტექნოლოგიასთან შედარებით. მეორე მხრივ, ულ-

ტრამსუბუქი, ღია ფერის ლუდის წარმოება შემცირებული ნახშირწყლების შემცველობით (2.6 გ-ზე ნაკლები ნახშირწყლები 275 მლ-ზე), მაგრამ 5%-იანი ალკოჰოლით, შესაძლებელია ისეთი ფერმენტების გამოყენებით, როგორიცაა გლუკოამილაზა [7] და სხვა, რომლებიც აშორებენ პოლისაქარიდულ გვერდით ჯაჭვებს (მაგ., პულულანაზა). ტრადიციული ლუდი შეიცავს არამადუღარ დექსტრინებს, რადგან შელესვის დროს ალაოში არსებული ფერმენტები ვერ მონაწილეობენ ამილოპექტინში ყველა α-ჯაჭვის (1-6) ჰიდროლიზში. გლუკოამილაზა ზრდის ლუდის დუღილის უნარს α-ჯაჭვების დექსტრინებად ჰიდროლიზებით, ხოლო პულულანაზა აჰიდროლიზებს მხოლოდ α(1-6) ჯაჭვებს. ლუდის დუღილის უნარის გაზრდა ასევე შესაძლებელია გლუკოზის სიროფის დამატებით. აღიარებულია ლუდის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებები, რომელსაც მომატებული აქვს ნაწლავური მიკროფლორის მხარდამჭერი, უვნელებად ხსნადი საკვები ბოჭკოების დონე. D-გლუკოზილტრანსფერაზას მოქმედებით, ლუდის მოხარშვის პროცესში შესაძლებელია იზომალტოოლიგოსაქარიდების (და ფრუქტოოლიგოსაქარიდების) სახით ხსნადი საკვები ბოჭკოების წარმოება, რომელთა პოლიმერიზაციის ხარისხი 4 ან მეტია. მაღალი სიმკვრივის მალტოზისა და მალტოტრიოზის გლუკოზასთან მაღალი თანაფარდობით მაღალი სიმკვრივის ბადაგი ხელს უწყობს იზომალტოოლიგოსაქარიდების წარმოქმნას. იგივე ეფექტის მიღწევა შესაძლებელია ფერმენტატორში იზომალტოოლიგოსაქარიდის სიროფის პირდაპირ დამატებით [8].

ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია წვენების წარმოებისას საკვები ნედლეულის გადამუშავების ღირებულების შემცირება, საბოლოო პროდუქტის ორგანოლეპტიკური თვისებებისა და სტაბილურობის შენარჩუნებით. ეგზოგენური ფერმენტები კომპონენტების ეფექტური იზოლაციისას საშუალებას იძლევა და გამოიყენება ხილის უჯრედის კედლების დასაშლელად მაცერაციის, გათხევადებისა და დეპექტინიზაციის დროს. [9]. გარდა ამისა, მჟავა ამილაზები გამოიყენება სახამებლის შემცველი ხილის დასამუშავებლად. ხილისა და ბოსტნეულის მოხმარების ერთ-ერთი უპირატესობაა ფლავონოიდური გლუკოზიდების (პოლიფენოლ გლუკოზიდების) შეწოვა, რომელსაც აქვს სასარგებლო გავლენა მრავალ ფაქტორზე, მათ შორის მათ სასარგებლო ეფექტზე ნაწლავის მიკროფლორაზე, ანტიმიკრობულ აქტივობაზე (მაგ., Listeria Monocytogenes-ის ინჰიბირება), მსხვილი ნაწლავის კიბოს (და შესაძლოა სხვა სახის კიბოს) რისკის შემცირებაზე და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების შემცირებაზე. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებაში ფერმენტების გამოყენებისას, ტექნოლოგის ამოცანაა ბიოშეღწევადი მასალების გარდაქმნა შეწოვისთვის ყველაზე ეფექტურ ფორმად.

ფერმენტები და სხვადასხვა ანტიმიკრობული პეპტიდები ასევე ეფექტურად გამოიყენება მრავალი მალფუჭებადი პროდუქტის შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად. ანტიმიკრობული პეპტიდი ნიზინი გამოიყენება დამუშავებულ ყველში ბოტულინის სპორების ზრდის თავიდან ასაცილებლად. ნიზინმა, ფერმენტ ლიზოზიმთან კომბინაციაში, აჩვენა ეფექტურობა Listeria monocytogenes-ის განადგურებაში მოხარშული ხორცის პროდუქტების, მაგალითად, ძეხვეულის ზედაპირზე [10]. ქიმიურ ანტიოქსიდანტებს საკვებ პროდუქტებში გამოყენების დიდი ისტორია აქვთ, მაგრამ ქიმიურ დანამატებად ითვლება და, შესაბამისად, მათი გამოყენება შეშფოთებას იწვევს. ფერმენტები გვთავაზობენ ალტერნატიულ მიდგომას

საკვების დაცვისთვის. გლუკოზიდური ოქსიდაზა და კატალაზა მოქმედებენ როგორც ჟანგბადის ძალიან ძლიერი შთანმთქმელი სისტემები შეფუთულ საკვებსა და სასმელებში. საკმარისი გლუკოზის დონის მქონე საკვებში, გლუკოზიდური ოქსიდაზა და კატალაზა შლის სისტემაში არსებული ჟანგბადის 100%-ს, რითაც ხელს უშლის ობისა და დაჟანგვის ზემოქმედების გამო გემოსა და ფერის გაუარესებას [11].

ამრიგად, საუკუნეების განმავლობაში, ფერმენტები უსაფრთხოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა საკვებ პროდუქტებში. ფერმენტების ბიოლოგიური მრავალფეროვნება კვების მრეწველობას ფართო შესაძლებლობებს აძლევს. ბიოტექნოლოგიის სამომავლო გამოყენება, სავარაუდოდ, მიმართული იქნება ისეთი ფერმენტების შექმნისკენ, რომლებიც დადებითად აისახება მომხმარებლის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. საკვებისა და სასმელების მწარმოებლები შემდეგ სულ უფრო ხშირად გამოიყენებენ ბიოგაძლიერებულ ფერმენტებს იმ პროდუქტების შესაქმნელად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მსოფლიოში არსებული პრობლემების მოგვარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Bentley I.S. and Williams E.C.* Starch Conversion. In Godfrey and West, 1996, pp. 339–357
2. *Fuchs A.* P: Production and utilization of inulin: II. Utilizationof Inulin. In «Science and Technology of Fructans» ed. S.Michio and N.J.Chatterton,
1996, pp. 319–352.
3. *Hedges A.R.* Industrial application of cyclodextrins//Chem.Rev. 1998. 98: 2035–2044.
4. *O'Rourke T.* Brewing. In Godfrey and West, 1996,pp. 103–131.
5. ე.ბენდელიანი, მ.ფრუიძე – ქერის ალაოს ამილაზების მოქმედების რეგულირება ლუდის წარმოებისას ბუნებრივი ინჰიბიტორების გამოყენებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ცენტრის შრომები. ტ. XVIII, თბილისი, 2006, გვ. 105-110.
6. ბენდელიანი, მ. ფრუიძე,,ლუდის წარმომების პროცესების რეგულირება ჩაის ექსტრაქრების გამოყენებით"საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კვების პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები",ნაშრომთა კრებული.2014.,გვ.192-194.
7. *Matthews S.L., Byrne H. and Hennigan G.P.*Preparation of a low carbohydrate beer by mashing at high temperature with glucoamylase//J. Inst.
Brewing. 2001. 107 (3). 185–194.
8. *Brier M., Shetty J.K. and King J.W.* High soluble dietary fiber fermented beverage and process forits production. 2002. PCT #WO 0220712 A 1.
9. *Grassin C. and Fauquembergue P*. Fruit juices.In Godfrey and West, 1996, pp. 225–264.
10. *King et al.* Antibacterial composition for control of gram positive bacteria in food applications. 2003. U.S. patent 6,620,446.
11. *Min S., Mistry B.S. and Lee H.O.* Improvement of oxidative and emulsion stability of model salad dressing by glucose oxidase_catalase.//J. Food Sci. 2003. 68 (4): 1272–1275

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრონEWS. ISSN 2346-8467
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL AGRONEWS. №12. 2025
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ АГРОNEWS. Roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

Enzymes used to produce new types of beer and beverages

Ekaterine Bendeliani
Candidate of Biological Sciences, Academic Doctor of Technology, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

The paper discusses enzymes used to produce new types of beer and beverages. Motivated by the effectiveness of various low-carb diets, millions of people are trying to limit their carbohydrate intake. As a result, the food industry is forced to change the recipes of manufactured products to meet the growing demand for low-calorie foods. Low-carb may not be the only solution to maintaining a healthy weight, but this dramatic change in consumer behavior could lead to further, more profound changes in the food industry. The increase in the consumption of high-calorie, sugary and saturated fat-rich foods, combined with a decrease in physical activity, has led to an increase in the overweight population. For centuries, enzymes have been safely used in various food products. The biological diversity of enzymes provides the food industry with wide opportunities. Future applications of biotechnology are likely to be directed towards the creation of enzymes that have a positive impact on consumer health and safety. Food and beverage manufacturers will then increasingly use bioactive enzymes to create products that will help solve the world's problems.

Keywords: enzymes, beer, beverages, food products.

In both developed and developing countries, more and more people suffer from malnutrition, leading to increased disease and mortality. Enzymes contribute to the development of new food products and the improvement of existing products that meet the growing demand for healthy and nutritious foods and beverages. They act selectively on food components, depending on the composition of the food and beverage and the production process. By using enzymes, food technologists can selectively modify carbohydrates, proteins and lipids in complex food systems and create safe and palatable products. For example, to selectively modify one protein in a complex food system without affecting the properties of other proteins, carbohydrates and lipids, the use of an enzyme that breaks down a specific amino acid chain can be more effective than heating or the addition of chemical oxidants. In addition, enzymes, which are biological proteins and have been used reliably for many years, are considered safe compared to many chemical additives.

Modern enzymatic technology was first applied to the hydrolysis of starch, where enzymes are used to hydrolyze both starch and its by-products (maltodextrins, glucose, and concentrated syrups). The methods for producing these materials and the use of enzymes for this purpose are well studied [1]. The use of enzymes in food production has gradually increased, with improvements in their catalytic activity, an expanded range of feedstocks, process acidity, and temperature, and a reduction in enzyme costs. The use of enzymes has allowed traditional products to be used for new purposes.

In the brewing industry, increasing demands on the efficiency of the brewing process, the stability of product quality, and the use of auxiliary agents (including carbohydrate sources instead of barley malt) have led to the use of exogenous enzymes. α-amylase, β-amylase, glucoamylase, β-glucanase (endo-1,3-β-glucanase), and proteinase have long been successfully used in beer production [4;5].

Recently, there has been interest in the creation of beers in which the quality of beer fermentation is controlled and regulated[6]. The production of beers with reduced or no alcohol content has been achieved by using a combination of thermostable, targeted enzymes (e.g., Amilex 3T and β-glucanase 750L from Genencor). These enzymes provide starch release and hydrolysis while simultaneously reducing beer viscosity, resulting in higher levels of fermentable oligosaccharides compared to traditional

technology. On the other hand, ultra-light, light-colored beers with reduced carbohydrate content (less than 2.6 g carbohydrates per 275 ml) but with 5% alcohol can be produced using enzymes such as glucoamylase [7] and others that remove polysaccharide side chains (e.g., pullulanase). Traditional beer contains non-fermentable dextrins because the enzymes present in malt cannot hydrolyze all α-chains (1-6) in amylopectin during the milling process. Glucoamylase increases the fermentability of beer by hydrolyzing α-chains to dextrins, while pullulanase hydrolyzes only α(1-6) chains. The fermentability of beer can also be increased by adding glucose syrup. Beer is recognized for its health benefits, which include increased levels of insoluble dietary fiber, which supports intestinal microflora.

An important aspect of juice production is the reduction of the cost of processing food raw materials, while maintaining the organoleptic properties and stability of the final product. Exogenous enzymes allow for the efficient isolation of components and are used to break down fruit cell walls during maceration, liquefaction and depectinization. [8]. In addition, acid amylases are used to process starchy fruits. One of the advantages of consuming fruits and vegetables is the absorption of flavonoid glucosides (polyphenol glucosides), which have a beneficial effect on many factors, including their beneficial effect on the intestinal microflora, antimicrobial activity (e.g., inhibition of Listeria Monocytogenes), reduction of the risk of colon cancer (and possibly other types of cancer), and reduction of the development of cardiovascular diseases. When using enzymes in fruit and vegetable processing, the task of the technologist is to convert bioavailable materials into the most effective form for absorption.

